


ლიცენიაცია საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოაზრის“ დამატება №10, 25 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2017 წელი

ქართული სამართლის რაინდი

ქართული სამართლის რაინდად ნოდებულმა საზოგადო მოღვაწემ, ქართველმა მეცნიერ-იურისტმა და პროფესორმა – ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილმა ცხოვრების დიდი და რთული გზა გაიარა. იგი დაიბადა 1872 წლის 26 თებერვალს, ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოში. თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1892 წელს, ოცი წლის ასაკში ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1894 წელს იგი ტოვებს პეტერბურგს და ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება გერმანიაში, სადაც სწავლობს ფილოსოფიის ჰაიდელბერგში, კუნო ფიშერთან. შემდეგ – სტრასბურგის უნივერსიტეტში, ვილჰელმ ვინდელბანდთან.

სამართლის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, ახალგაზრდა ლუარსაბი, პარალელურად ესწრება გამოჩენილი გერმანელი იურისტების – ელინეკისა და ლაბანდის სახელმწიფო სამართლის ლექციებს. 1897 წელს იგი ბრუნდება პეტერბურგში, ამთავრებს უნივერსიტეტს და რუსეთის იმპერიის ადვოკატურაში სტაჟიორად იწყებს მუშაობას.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ: I ეტაპი, რომელსაც იგი ეწოდა რუსეთის იმპერიაში და II ეტაპი – რევოლუციის შემდგომ, საბჭოთა კავშირში. ლ. ანდრონიკაშვილი, 1898 წლიდან იწყებს პრაქტიკულ საქმიანობას. იგი ხუთწლიან სტაჟიურებას გადის საიმპერიო ადვოკატურაში რუს მეცნიერ ვინარევეთან. მას ხელმძღვანელობას უწევდნენ იმ დროინდელი ცნობილი მეცნიერები – ვატროვი, განტოვერი და მურავიოვი.

პირველი ნაბიჯები მეტად რთული აღმოჩნდა ახალგაზრდა ადვოკატისათვის. მისი პირველი პროცესი ე. წ. „კუზინის საქმე“ გახლდათ, რომლის წარუმატებლად ჩატარების შემთხვევაში, ახალგაზრდა ვეკილი პროფესიას უნდა გამოემშვიდებოდა. ანდრონიკაშვილს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ებრაელი შინამოსამსახურის დაცვა დაევალა, რომელმაც ოჯახის უფროსი, საოლქო სასამართლოს ერთ-ერთი წევრი „სტატსკი სოვეტნიკი“ შელაპარაკების დროს დანიტ გამოასალმა სიცოცხლეს. საქმის ფაბულა ასეთი იყო: მოსამსახურეს, მისი გარეგნობის გამო, მეპატრონეები გაუთავებლად ამცირებდნენ, მიმართავდნენ ღირსების შემლახავი სიტყვებით. მოთმინებიდან გამოსულმა „კუზინამ“ მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომდგენელი თავადი სიცოცხლეს გამოასალმა. საოლქო სასამართლოს ბრალდებულის სიკვდილით დასჯა სურდა. გარდაცვლილის ელიტური მდგომარეობისა და საყოველთაო რუსული ანტისემიტიზმის გამო, გამოუცდევე ვეკილს (ლ. ანდრონიკაშვილს) საქმის მოგების მინიმალური შანსიც კი არ ჰქონდა. კუზინის საქმე წაგებისთვის იყო განწირული, მაგრამ ანდრონიკაშვილმა ხერხს მიმართა. როდესაც პროკურორმა საბრალდებო სიტყვა დაასრულა, ახალგაზრდა ვეკილი დინჯად წამოდგა, თვალი მოავლო სასამართლო სხდომის დარბაზს, სასამართლო შემადგენლობას გადახედა და დაიწყო:

– პატივცემულო ბატონო მოსამართლე და ნაფიცო მსაჯულეებო, – შემდეგ, ეს სიტყვები ხანმოკლე პაუზებით თერთმეტჯერ გაიმეორა. დარბაზი მოლოდინში გაირინდა. სასამართლო სხდომის თავმჯდომარეს მოთმინების ფიალა აევსო, განრისხებულმა, თუჯის ზარი ხელში აიღო და ახალგაზრდა ვეკილს ესროლა: „თავადო ანდრონიკოვ, მე თქვენ ჩამოგართმევთ სიტყვის უფლებას და შესაძლებელია, ნოდებაც ჩამოგართვათ, აგიკრძალოთ საადვოკატო საქმიანობა!“

მოსამართლის მოქმედებამ და სიტყვებმა დარბაზში ხმაური გამოიწვია. ანდრონიკაშვილი კმაყოფილი სახით იღიმოდა. როდესაც დარბაზი დამშვიდდა, მან ისეთი სიტყვები წარმოთქვა, რომელიც გამამართლებელი განაჩენის დადგენის საფუძველი გახდა.

– ბატონებო, – დაიწყო ვეკილმა, – ჩემი მიზანი არ ყოფილა არც თქვენი და არც სასამართლოს შეურაცხყოფა. თქვენ ხუთი წუთითაც კი ვერ მოითმინეთ ჩემი კულტურული მიმართვა, რომელიც კი არ ლახავდა, არამედ ხაზს უსვამდა თქვენს მაღალ ღირსებას. წარმოიდგინეთ იმ ადამიანის მდგომარეობა, ვისაც ფიზიკური ნაკლის გამო სისტემატურად ამცირებდნენ, ეძახდნენ „ტილიან კუზინას“, „ქეციან ურიას“ და სხვა შეურაცხყოფელ სიტყვებს. მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ფიზიკური ნაკლის შესხენების გამო, ადამიანი აფექტური ხდება, რაც შესაძლებელია, ფსიქიკურ აშლილობაში გადაიზარდოს. სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი. – ასე დაამთავრა ანდრონიკაშვილმა თავისი გამოსვლა. ნაფიცი მსაჯულეები სათათბირო ოთახში გავიდნენ და გამამართლებელი ვერდიქტით დაბრუნდნენ დარბაზში.

ახალგაზრდა ანდრონიკაშვილმა პირველივე პროცესზე შეძლო სასიკვდილო განაჩენისაგან დაეხსნა ბუნებისგან დაჩაგრული, უთვისტომო ებრაელი გოგონა. ამ საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, იგი იმპერიის საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა.

ანდრონიკაშვილის სასამართლო პრაქტიკა კარგად გამოიყენა მისმა მოწაფემ – ვლადიმერ მაყაშვილმა და, მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებზე მუშაობისას შექმნა დანაშაულის ისეთი სახე, რო-

გორცაა განზრახ მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი, უეცარი სულიერი აღელვების მდგომარეობისას.

ამის შემდეგ, თითქმის ყველა გახმაურებულ საქმეში და ისტორიული მნიშვნელობის ასზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა. აგრეთვე, იგი იცავდა შეიარაღებულ აჯანყებათა და დემონსტრაციების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, (ბათუმის დემონსტრაციის საქმე, 1903 წ.); ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით აჯანყებული შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა სევასტოპოლის პროცესი, 1906 წ.; პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესი, 1906 წ.; „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმე, 1908-1909 წ.წ.); რევოლუციონერ-ტერორისტებს (პეტერბურგის ქალაქის მმართველის, გენერალ ლაუნიცის მკვლელობის საქმე, 1907 წ.; სახელმწიფო საბჭოს წევრის, გრაფ იგნატიევის მკვლელობის პროცესი, 1907 წ.; ნიკოლოზ II-ის მკვლელობის მომზადების საქმე, 1907 წ.); რევოლუციურ პრესას (ბოლშევიკთა პირველი ლეგალური გაზეთის „ნოვიაა ჟიზნ“-ის რედაქციის მდივან – ი. გუკოვსკის, ლ. ტოლსტოის გამომცემლების, ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორის – ვ. კოროლენკოს საქმეები) და სხვა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ხალხს უყვარდა და პატივს მიაგებდა. მისი მაღალი ერუდიციისა და ავტორიტეტის გამო, 1917 წლის აპრილს, დროებითა მთავრობამ იგი სენატორად დანიშნა. ლ. ანდრონიკაშვილი ა. კონისთან, ნ. ტაგანცევსა და სხვა გამოჩენილ იურისტებთან ერთად მონაწილეობდა სისხლის სჯულების გადამსინჯველი საკანონმდებლო კომისიის მუშაობაში. იგი, პრაქტიკული საქმიანობის პარალელურად ეწევა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1918-1920 წლებში იყო ტულის პედაგოგიური სკოლის ახალი ფილოსოფიის სალექციო კურსის მასწავლებელი, ხოლო 1920-1921 წლებში იყო მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი და კითხულობდა სასამართლო მჭერმეტყველების სალექციო კურსს.

1921 წელს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ბრუნდება სამშობლოში და მოღვაწეობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტიკურ ინსტიტუტში. 1937 წლიდან იგი სისხლის სამართლის პროფესორია, თავის გამოცდილებასა და ცოდნას უზიარებს აღსაზრდელებს. ამავე წელს გადაწყვეთ სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგედ. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული მე-20 საუკუნის საქართველოში სამართლებრივი აზროვნების ჩასახვა. მან არაერთი ცნობილი მეცნიერი და იურისტი აღუზარდა სამშობლოს. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ პროფესორი თინათინ წერეთელი, რომლის სახელთან არის დაკავშირებული გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართული იურიდიული აზროვნების განვითარება და სისხლის სამართლის საკავშირო მნიშვნელობის მქონე სკოლის შექმნა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი, მათ შორის აღსანიშნავია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მოკლე კურსი; სამოქალაქო სამართლის მოკლე კურსი; კუნო ფიშერის ახალი ფილოსოფიის ისტორიის ქართული თარგმანი; ენეკრეციუსის გერმანული სამოქალაქო სამართლის ორტომეულის ქართული თარგმანი; მაიერის გერმანული, ადმინისტრაციული სამართლის ქართული თარგმანი.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენელი. მან უარი თქვა არისტოკრატიულ ცხოვრებაზე რუსეთში და სიცოცხლის ბოლომდე სამშობლოში ემსახურებოდა მომავალი იურისტების აღზრდას. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 1939 წლის 19 დეკემბერს. იგი დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ღირსეული შთამომავლები დატოვა. მას ცოლად ჰყავდა ცნობილი რუსი ფილოსოფოსისა და, ე. წ. „გურევიჩის სკოლის“ დამაარსებლის იაკობ გურევიჩის ქალიშვილი ეკატერინე. მათ ორი ვაჟი – ირაკლი და ელენეტი შეეძინათ. ელენეთერმა 1932 წელს დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი, 1948 წლიდან გახდა პროფესორი და ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრას, ხოლო 1951 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. ირაკლიმ, 1959 წელს მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იგი გახლდათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

დიდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ღვაწლი ქვეყნის წინაშე. იგი ვალდებული წავიდა იმქვეყნად და სამშობლოს დაუტოვა ქართული სამართლის ძლიერი სკოლა.

მალხაზ ლომსაძე,

სამართლის დოქტორი, პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი.



ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

სცუმანი რეგიონიდან



50 წლის იუბილარი

ეს მომხიბვლელი ქალბატონი – ლალი ფრუიძე დაიბადა ქ. ლეჩხუმში. დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ფილოლოგიის სპეციალობით. პოეზიაზე, სამშობლოსა და ადამიანებზე შეყვარებული ქალბატონის გამოჩენილი აქვს ლექსების მოკრძალებული კრებული – „სამშობლოს მონატრება“. აგრეთვე, იგი გახლავთ აღმოსავლური მედიცინის რენტრ „ტიენსი“-ს ხელმძღვანელი. გაზეთი „ლიტერატურული სამუშაო“ ულლ-რავს ქალბატონ ლალის იუბილეს.

რა ცოტაა სიყვარულის ღირსი...

გაზაფხულზე, ენძელების კონა ნამქერიდან ნაპერსკლებს რომ ისვრის, – მაშინ ვხდები სიყვარულის მონა, რა როტაა სიყვარულის ღირსი! ახლა, როტა ჩავლილია მარტი და ზაფხულმაჩ ჩამოუშვა ფარდა, ხშირად მიპრობს უჩვეულო დარდი, ამ რხოვრების შემოდგომის კართან... როგორჩ ჩირი, გაკიდული ჭერში, გამოვშრი და მომაგებეთ ნისლი... რა ზევრია სიყვარული ჩემში, რა როტაა სიყვარულის ღირსი!..

ჩემი ბედი

„შავი შაშვი ჩიოდა...“

ახლა რალას ვჩივი მე, ანდა, ვისთან რას ვჩივი? როგორ გახდი, ჭირიმე, ზედისნერის არჩივი! ლამე გაუთევარი, გული, დარდით მკვნესარი, დამენია მღევარი, – ჩემი ზედი ეს არი!

მწარე სინამდვილე

სიყვარული თუ არ იყის კარმა, ყოველი დლე არის მერიე ჭვარტმა! თუ არ იყის რამინი და ვისი, – არაფერი არ გინდოდეს მისი... რომეოს და ჯულიეტას მითი თუ ჰგონია სალოკავი თითი, თუ დანტეს და ზეატრიჩეს ქროლოვას ურჩევნია მურლის ამოკორვა... ვით აგავსებზ ზრიყვი ზედოვლათი, ეგრე ძაღლიერ ძაღლოზს, როგორჩ ხვადი... და დაღლილი, ჭანსაღსა თუ სნეულს, ლუკმასავით გადაუგდებ სხეულს... რადგან გქვია ქალი, გქვია როლი, დასჭილი ხარ უარაფრო ნოლით... სიყვარული თუ არ იყის კარმა, – ყოველი დლე არის მერიე ჭვარტმა!..

მელანქოლია

შემომანვეტა უამი-უამ სევდა, ამ დროს რრემლებმა ლამის დამახრჩოს, შენი თვალების აღმური მღევდა და ვნითლოდებოდი, როგორჩ უაყარო... მეყოფა სიტყვა და სითბო როტა, ჩემში რომ ზევრი ლამე ათიეს... ო, ზეერიერო, ეს ჩემი როდვა, შემინდე ზეჩავს და მავატიე!..


ემიგრაციაში მცხოვრებ, პოეტ – მანანა ფრუიძეს

შენ ჩემი ჭიშის მერიე ნაფოტო, ქარში გაშლილო ქართულ ანზანად, შენმა ლექსებმა ტანზე დამფოთლოა, თუ გესიზმრება, ნეჭა, აღპანა! მე ვამაყობდი ზიძის ლექსებით, შენი რომ ვნახე, გაველ რიგიდან, მომესალმუნა ჩვენი ფესვები, მაგ შორეული ამერიკიდან... ისე მომინდა შენი დანახვა, ერთი სული მქვს, როდის ჩამოხვალ, რა ზედენაა, აქ თუ არა ხარ, საჩ უნდა იყო, ჩემი მანო ხარ!..

ლეჩხუმის მონატრება

დგას ლეჩხუმელი გლეხკარი ზორცვზე შეკიდულ ბაღჩაში, უბოძებია მზეს რარ კი, ინახავს გულის თახჩაში, არ გააზრაზოთ, თუ არა, თავსარ დაინრჩომს რაჩხაში. იქით, გელავერს შემსკდარი, მღვრიე რხენისწყლის აზზარი ისე შეჭრილა, შემეზარა დიდი მთა, ერთობ ზარმაერი, ზედ სამი რხე შემსხდარა, რას დაუნყია ბარბარი... აქეთ, რიონის ხედები, რა სერების და რა ჭაღის... საითარ გაიხედები, გიპრობს სიტყურფე ლაჭანის, ორბელ-აღპანის ხედები, – რა ლონისა და რა ჭანის... ახანძრებულა ატმები, ეალერსება ქარს შქერი... დავოგმანებენ კაკბები, რხრაჭურ ერვლება რას ფერი... აქ ძირმწარე კი დატკბება, ისე ტკბილია ნასპერი!.. ლამაზი არის ზაფხულში, ვარდ-ყვავილებით ნაფერი, ლამაზი არის ქარ-ზუქში, თოვლის ფიფქებით ნამქერი, ვით პატარძალი კარკუჩში, ლამაზი არის რავერი...

„მოგახლებით მოგონების სველი ყლორტებით...“

ხ ს ო ე ნ ა 

„ხაშურში კი არა, საქართველოშიც თითზე ჩამოსათვლელნი არიან იუზა გელაშვილის მსგავსი პიროვნებები... რომ შეიძლება ბოდიშს, ჩემს დარჩენილ სიწოხეს უყოყმანოდ დავუთმობ მას, რადგან ვიცი, ის ბევრად უფრო შინაარსიანად გახარჯავს“ – არაერთხელ უთქვამს ფარნაოზ ლომიძეს.

უდიდესი ტკივილის მიუხედავად, ნელგამართყოლი და თავანუელი დადიოდა ხაშურის ქუჩებში, რომელსაც „კარი ლეგენდა“ შეარქვეს. როცა ბაჭონ ფარნაოზ ლომიძის გვერდით მოაბიჯებდა, ორი თმა-თეთრი, სოხუპის ტკივილით მხრებდამძიმებული მეგობარი მოდიოდა და არ შეიძლებოდა, მათ დამნახავს არ აღმოგებდნოდა – თვალდავსილია აფხაზეთი უთქვენოდ!.. ახლა კი დარწმუნებული დადის ფარნაოზი...

9 ოქტომბერს 80 წელი შეუსრულდებოდა ბაჭონ იუზას...

2004 წლის დეკემბერში, კიდევ ერთი განსაჯელის ნინაშე დადგა აფხაზეთიდან დევნილი იუზა და ზაირა გელაშვილების, ერთ დროს, უბედნიერესი ოჯახი: უკურნებელმა სენმა იმსხვერპლა მათი ახალგაზრდა, თვალბატყულა (როგორც მას მამა მიმართავდა) პოეტი ასული – ნინო გელაშვილი. აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში საპატიო ადგილი ეჭირა მამა-შვილის მოღვაწეობას. ნინო ფილოსოფიით მოძღვრავდა სტუდენტებს შიზენს-აკადემიაში და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, იუზა გელაშვილი კი, ქართულ, აფხაზურ და რუსულ სექტორებზე ტექნიკური მუშაობების კურსს უძღვებოდა. ეს იყო მათი ცხოვრების ის პერიოდი, რომელსაც შემდგომში ბედნიერების ზენიტად რომ მოიხსენიებენ...

უამთა სიავემ, ისე როგორც სხვა ათასობით ოჯახი, ისინიც იძულებით გადაადგილებულთა სიაში ჩანდნენ. ნამოვიდნენ და გამოპყვათ ტკივილიანი მოგონება წერხლოდებული, დაწყებული და შეურაცხყოფილი სოხუპისა...

ბედკრული ქვეყნის ერთი ჭანსალი უჭრედის ხუთი ინტელიგენტი – იუზა, ზაირა, ნინო, მამუკა და ლელა გელაშვილები მკარრი რეალობის პირისპირ აღმოჩნდნენ. თუმცა, მაღალმა ინტელექტმა დასაძლევადი გახდა ფინანსური და სორიალური კრიზისი.

„იმ დროს, მე, თურმე, ისევ ბედნიერი კარი ვიყავი!..“ – იტყვის მოგვიანებით იუზა გელაშვილი... რადგან ეს იყო ჭიდილი ცხოვრებასთან და არა სიკვდილთან... და აი, ისიც!.. ბედის ირონიით თავზარდაცემული მამა შვილის რხედავით დაღებული ფიქრის ერთგული რჩება, – მას არ აქვს არყოფნის უფლება, რადგან დიდი და შრომატევადი მისია აქვს შესასრულებელი.

„ამაზე მძიმე მდგომარეობა არც მქონია და აღარც მექნება“ – ნერდა ბაჭონი იუზა ნინოს ხსოვნისადმი მიძღვნილ ხუთტომეულში. „ხელიდან გამოძევალა სიყრმის შვილი, ჩემი ნინო... ღმერთმა ნუ ინებოს მსგავსი რამ თავსა ჩემსა სიწოხისა უამსა, რომლის არსებობა საკუთარი ხელით არ შევკვეყნე, რამეთუ ჯერ ღმერთის ნინალმდევე ვერ ნავედი, მერე კი, ისევ ჩემი ნინოს შემკვიდრეობას (ლექსემს) მოვლა-პატრონობა სჭირდებოდა... ძალზე მძიმე ტვირთის ზიდვა მომიხდა მიმწახრისა უამსა ასაკში შესულსა...“

თვალწრემლიანმა მამამ თავი მოუყარა ხელნაწერებში გაბნეულ „ობლებს“, ასევე ნინოს ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსებს და მოგონებებს, რომლებიც ერთმა ნივთმა ვერ დაიჭია და, შვევით მამაში ამოიხსნებოდა, როცა ყოველივე ეს ხუთტომეულში „დააბნავა.“ არაერთი საღამო მიუძღვნა ნინოს ხსოვნას ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც ნინო მოღვაწეობდა. ხაშურის სამუსიკო სკოლაში გამართულ ხსოვნის საღამოზე, ბაჭონმა იუზამ, სამადლობელი სიტყვა ასე დაასრულა: „დღეს, თქვენ, ნინოს სიწოხეს დაუბრუნეთ!..“

იუზა გელაშვილი ხშირად სტუმრობდა ერთგულ მეგობარს – ბაჭონ რობერტ სუხიაშვილს „ხაშურის მოამბის“ რედაქციაში, ნინოს სიწოხის განსახლებლად... თითქოს სხვა აღარაფერი შეიძლებოდა, თითქოს დაეხურა ცხოვრების ლამაზი ფურცელი პიროფესორ-მასწავლებლის, მშენებელი ინჟინერის, ქართული ლიტერატურის უმაღლო თაყვანისმცემლის, „ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ტექსტის ქართულ, რუსულ და მეგრულ ენებზე მოხეპირეს, მუზეუმთან ნილნაყარს... მხოლოდ და მხოლოდ შვილობილმა შეიძლება შეიძლება სხეულდანეცვრებული მამულისა და მამობა – უდროოდ ნასული პოეტი შვილისა...

ასე იყო მანამ, ვიდრე წრემლოდენით გაჯერებულმა თვალმა იმ გზას არ გახედა, რომელსაც ჯერ ნინო, შემდეგ კი ოჯახის დიდი დიასახლისი, არაჩვეულებრივი ქართველი მანდილოსანი, უღლის ღირსეულად გამწევი მეუღლე, შვილის დაკარგვით თავზარდაცემული ქალბატონი ზაირა ჩაღუნული-გელაშვილისა, მიეფარა...

საოწარი მსგავსება იყო მამა-შვილს შორის. იყო მათში რაღაც არამინიერი, ზებუნებრივი... შეიძლება, ვერ ასწვდნოდი, მაგრამ უფლებად არ გქონდა, არ დაგეხახა. ერთნაირი სიძლიერით აღიქმეს მენამული ღრუბლის სუსხიერ და ფერებერ... „ნინომ ბევრი რამ მასწავლა“ – თქვა ერთხელ ბაჭონმა იუზამ, მაგრამ ვერ დავიჯერებთ, ნინოსგან სიკვდილის დამარცხება ესწავლა!.. ეს იყო სიძლიერე ქართული გენისა, რომელიც ვერავინ და ვერაფერმა დააჩოქა!..

რამდენიმე სასწაულებრივი მოვლენის შემდგომ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ბაჭონი იუზა ისევ გემოდღვრავს, ერთმანეთს გვაკავშირებს და უფლებას არ გვაძლევს, მხოლოდ პირადულით შემოვიფარგლოთ. ასეთი იყო ნინოც... ნინომ დაგვაახლოვა მასთან, – მისი ბედნიერებისა და ტკივილების შესაყემ...

ქედობრილი ვართ მისი ხსოვნის ნინაშე... მინდა, თავი მისივე სიტყვებით გავიმხნეოთ: „ძვირფასნი ბევრნი გვტოვებენ, მაგრამ უკვდავებისკენ ემგზავრებიან...“

არ გემშვიდობებით, ნახვამდის, ბაჭონო იუზა!..

ხაშურის ლიტერატურული საზოგადოების სახელით,
კლარა გელაშვილი

ჩამომეცალე

მომწყდი, სიკვდილო და ჩამომშორდი,
დარდი მკლავს მათი, გულს მაქვს იარა,
მე თუ მოვკვდები, მოვკვდები მათთვის,
ფუჭად ცხოვრებამ არ ჩაიარა!
მათი გულისთვის კლდეებს გავაპობ,
მთებს გადავსერავ, ნაოჭიანებს,
აღმართს გადავხნავ, ქვას ნყალს გავადენ,
ზედ ხეს დავამყნობ და გავახარებ!
ამას ხომ ჩვენებრ, სიწოხეს ჰქვია,
არსება მისი გრძელია, ვიცი,
ბოროტო, მისგან დაძლიებული ხარ
და მაინც დაძრნი საჭანის ფინლით.
ახლა რა გიზლო სიბილნის ნილადა,
რომ ხარ პირქუში, თანაურ წბიერი,
წყულო, მოდგმას შენ რას დააკლებ! –
შთამომავლობა ნინ დგას ძლიერი!
არ ქრება კვამლი, არ ცხრება კერა,
იზაღებიან და იზრდებიან,
ძვირფასნი ბევრნი გვტოვებენ, მაგრამ
უკვდავებისკენ ემგზავრებიან...
გზა დამიწალე და ჩამომშორდი,
თუმცა, დამასე გულოზე ფინალი,
მე ძლიერი ვარ, შეგებრძოლები,
თუ ვერ მიხვდი და, თუ ვერ მიწანი,
შენა ხარ, მხდალი და, თანაურ, მრუდი,
დაგვინყებია მხოლოდ ერთია –
სიწოხეს დავდევს დასათრგუნავად
და დამარცხება შენი ხვედრია!

iuza gelaSvili



ყვანიერული ხაზი

დავითის სკოლა

ხაშურში ძალიან კარგი სკოლა მაქვს გავლილი, – რეფრენივით გასდევს ხოლმე ჩემს ფიქრებს და საუბრებს, რომლებიც საფუძვლიანი ცოდნის მიღების გამო, ჩემი სკოლისა და აღმზრდელი პედაგოგის ღვაწლს ეძღვნება. ცნობიერებაში, იმთავითვე, რამდენიმე პიროვნების, ფაქტისა თუ მოვლენის ხიბლი დამეკანა. მათ ჩემი ყურადღება ბუნებრივად მიიპყრეს. ამიტომაც, ძალიან მსურს, ხელოვნურად შელამაზებული თხრობა არ გამომივიდეს და, თან, ვშიშობ, ვერ დავაღწიო თავი ემოციებს. ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას, – კალამს, ღირსებას და ეპოქას რომ უნდა ვცე სათანადო პატივი... გულდასმით უნდა მივსდიო საკლასო ოთახებს... უფრო ზუსტად, პირდაპირ დირექტორის კაბინეტში აღმოვჩნდე. მდივანიც კი ვერ შემაყოვნებს!..

დღეს კვირაა და ქალბატონი ლილი ლაცაბიძე (რალამაზი კალიგრაფია აქვს!) ალბათ, სახლში ბრძანდება. ჩემი მოგვარე და საყვარელი კლასელი მზია კი, უკვე ადგილზეა. მწვანე საფარიან გრძელ მაგიდას მხარმარჯვნივ უზის დირექტორი. ბატონი დავით კაკიაშვილი სათვალის ზემოდან გადმოიხედავს და იტყვის: – მოვიდა ჩემი კრეჭია ბიჭო. თავისდაუნებურად, საათისკენ გაიხედავს. მე მზიას გვერდით ვჯდები, მარჯვნივ. მზია მომხედავს და მხრებს იჩეჩავს: – ნეტავ, რა უნდა? – თითქოს ამ ჟესტს ელოდაო, მომენტალურად იწყებს დავითი:

– რომელს უფრო უკეთესი „პოჩერკი“ (ზოგჯერ, უცხო სიტყვაც მშობლიურს უნდა მიათვალო, თუნდაც, ქართულის მასწავლებელი იყო!) გაქვთ? ვიღებთ დავალებას: – აი, ატესტატის სუფთა ფორმები, აი, ნიშნების დანართი, ეს კი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა ნიშნების დავთარი. ატესტატები თქვენი ლამაზი მარჯვენით უშეცდომოდ უნდა შეავსოთ! რომ დაილღებით, აგერ, ხილი, უნდა დანაყრდეთ. და კიდევ ერთი: (წითელ თუ ყავისფერ თუ ღვიძლისფერ სქელ წიგნს იღებს და ფრთხილად დებს მაგიდის კიდეტან.)

– ეს ჩვენი სკოლის მატრიანია, ესეც უნდა წაიკითხოთ! თუ დღეს ვერ მოასწრებთ, სხვა დროს, როცა გინდათ, უნდა შემოხვიდეთ და წაიკითხოთ.

ადრე, აქ კალიგრაფისტებად, იქვე, სკოლასთან ახლოს მცხოვრებნი დები – მზია და გულო მუშაობდნენ. ქალბატონ ლილის, ალბათ, „ერთი მილიონი“ ატესტატი მაინც ექნებოდა შევსებული, მაგრამ დავითმა, რატომღაც, წარჩინებული მოსწავლეების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა მოისურვა, მეტი სითბოს გადმოცემა განიზრახა ჩვენთვის და ასეთი ფორმა მოუძებნა. კიდევ... ის, რომ: – სკოლის მატრიანეს რამე შემატეთო, – მინიშნება სურდა და მოახერხა კიდევ.

ჩემი პირველი „ლიტერატურული ესე“

ოლიმპიადა სხვა რამეა, სხვა ეშხი, ხოლო შემოქმედებითი ტურები და კონკურსები, აი, ჩვენ დროს იყო, თუ იყო და საკმაოდ პასუხისმგებლობითაც ეპყრობოდნენ.

ქალბატონი ნათელა ქუზიაშვილის სახე წარმომიდგა. მასხოვს მისი განსაკუთრებული მზრუნველობა ჩემსა და თამაზ ლომიძის მიმართ. თამაზი ჩემზე უკეთესად ხაზავდა, ჭრილების ვირტუოზი იყო. ესეც ხომ სკოლის ისტორიაა, დავითის სკოლის მატრიანეს ერთი ფურცელი.

ქალბატონი ნათელა, ხაშურის რაიონის დიდი მოღვაწის – ამბერკი მასწავლებლის სახლის პირდაპირ, გზის მეორე მხარეს ცხოვრობდა, მაისის ქუჩაზე. შეუძლოდ იყო. შინ ვესტუმრე. ჩემი ნახაზები გადაათვალიერა, შენიშვნები მომცა, მომიწონა, დამიწუნა და დავალება დამიმატა. ხაზვის ფურცლები კარადაში დევსო. გამოვიღე. – ესენი გადასარევი ფურცლებია, ტუშს კარგად იღებსო, – გადმომითვალა და ათიოდე, სურნელებით სავსე ფურცელი გამომატანა. 45 წელია გასული და ახლაც ისეთივე სისავსით ვგრძნობ იმ სიგრილის, სიახლის, სიხასხასის, სისუფთავის სურნელს... ფურცლებს ოდნავ ვარდისფერი გადაჰკრავდა. გულში ვარდის თაიგულივით ჩაკვრა მოგინდებოდა. შემდგომ, ქალბატონმა ნათელამ ამაყად იზეიმა ჩვენი წარმატებები, რესპუბლიკურ ტურში გამარჯვების დიპლომები რომ გამოგზავნეს თბილისიდან.

ახლა, ისევ დავით კაკიაშვილს დავუბრუნდეთ. ისევ მე და მზიას გვიბარებს. კონკურსი ტარდება მხატვრული ნარკვევის შექმნაზე მე-8-მე-9 კლასის მოსწავლეთათვის. საამისოდ უნდა მოვემზადოთ. სკოლა უნდა ვასახელოთ! მონაწილეობა მიზნობრივია, თვითმიზნობრივი. დავითი გვანვდის რალაც ფურცლებს, საკმარისად მოჭმუჭნულს და გვეუბნება:

– უნდა დანეროთ ესე. მე სქემას გაძლევთ და ამის მიხედვით იმუშავებთ, უნდა გაიმარჯვოთ, უნდა გვასახელოთ!

მე – „შინდარა“, მზიას – „გორათი“. ბ-ნ დათიკოს ნაწერი „განახლებული ლურსმულით“ დამწერლობის ნიმუში იყო. მზია და მე მივეჩვიეთ მის გაშიფვრას. ჩვენ ხორცი უნდა შეგვესხა მისი სქემისთვის და ბოლოს, ნაშრომი ჭეშმარიტად ჩვენად გამოგვეცხადებინა, რამეთუ, იმ სამკუთხა იეროგლიფებიდან ბევრს მაინც ხომ ვერაფერს გავიგებდით.

მოკლედ, ჩემი „შინდარა“ ბუნების სურათების აღწერით იწყებოდა. თითქოს საახალწლოდ მამიდას ვესტუმრეთ მე და მამა, რომ მზიანი ამინდი იყო და ლამაზად ჩანდა ირგვლივ მიდამო. მიმზიდველი იყო სურამის ძველი ციხის ქონგურები. შემდეგ, მოხერხებულად უნდა ჩამერთო ის,

რომ „სურამის ციხის“ შესახებ დავით სულიაშვილს და ლავრენტი არდაზიანს აქვთ შექმნილი მშვენიერი ნაწარმოებები. განსაკუთრებულად რაიმე „ახალი“ უნდა მეთქვა მათზე; მერე უნდა შემენიშნა, რომ ზეგანივით მოჩანდა შინდარის ველი, სადაც სამხედროებს ერთ დროს სასროლეთი ჰქონდათ და სიუჟეტი განმეგრცო ომის თემატიკით, ტყვიებით, ნამსხვრევებს რომ ჯერ კიდევ პოულობდა მოსახლეობა; რომ საავტომობილო გზით შინდარისკენ მიმავალი, რას არ დაინახავდა „მოდარაჯე თვალი“ და ასე შემდეგ... ბავშვური პროზა შინაარსად ვაქციე.

დირექტორ-მასწავლებელმა კორექტირება გააკეთა. ნაშრომი ლამაზად გავაფორმეთ და გავაგზავნეთ თბილისში. თბილისმა მეორე ხარისხის დიპლომებით დაგვაჯილდოვა.

სასიამოვნოა, კეთილი მიზანი პირდაპირ რომ ხვდება წერტილში. ბატონ დავითს თვისება ჰქონდა, ლაკონიურად (ეს სიტყვა მისეულია) დაესვა საკითხი და შედეგზე სწორი ორიენტაცია მიეთითებინა, დახვეწილი და რაფინირებული. თავზე ათენდებოდა სკოლაზე ფიქრსა და მისთვის მტკივნეული საკითხების დაძლევის გზების ძიებაში. წინა მერხზე ვიჯექი, მაგიდასთან, გაკვეთილს რომ ხსნიდა, მისი სათვალის მიღმა დამინახავს დაღლილი, უძინარი სახე. წერდა, ფიქრობდა, ზრუნავდა, იღლებოდა. არ არსებობდა მისთვის უმნიშვნელო, ზერეღედ მისახედი საკითხი.

მეათე კლასში, ცხადია, თხზულების უფრო ღრმად და სრულყოფილად წერა მოგვეთხოვებოდა. მოგეხსენებათ, თუ როგორი დამტამუშელი, საბჭოთა კრიტიკული მწერლობა გვექონდა იმ დროს! რამდენიმე მცირე ზომის ბროშურა თუ წიგნი მოიტანა, – ამათში უკეთესად არის გარჩეული ეს საკითხები და გამოგადგებათო. ქართული, ეროვნული ბროშურები იყო. თვალწინ მიდგას, მარცხენა ხელით პიჯაკის ჯიბიდან როგორ ამოაძვრინა და მომანოდა.

სამშობლოს თავისუფლებას მარჯვენახელშენიერი, მაგრამ მაღლის ორი ხელით მოსილი დავით კაკიაშვილი მგზნებარე გულით, სალი გონებითა და მარცხენა ხელით მართავდა სკოლას, მონოლითურად კრავდა პედაგოგიურ პერსონალს, რომელიც ერთობლივი ძალისხმევით, ერთგულად ზრუნავდა ქვეყნის მომავალ თაობაზე და ასე შედიოდნენ ასაკში სიკეთით, თავისი საქმის დიდი სიყვარულით ამაღლებული პედაგოგები.

როგორც ჩვენი დროის დიდი კლასიკოსი – ოთარ ჭილაძე ბრძანებდა: „ცალფეხ-ხელა კაცს მეტი რა უნდა მოეთხოვებოდეს!“

დავით კაკიაშვილი თავისი სკოლისთვის ბოლომდე დაინვა და დაიხარჯა.

ლერი ნოზაძე,

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტ „გორგასალი“-ს პროფესორი

